

შპს ასორტი-ვერე

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება

შპს ასორტი-ვერე

შინაარსი:

მოგება-ზარალის ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

სარჩევი:

1.	მოგება-ზარალის ანგარიშგება -----	3
2.	ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება -----	4
3.	ფულადის სახსრების მოძრაობის ანგარიშგება -----	5
4.	ზოგადი ინფორმაცია -----	6
5.	მომზადების და წარდგენის საფუძველი -----	6
6.	ფინანსური რისკები - რისკების მართვა -----	6
7.	ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები -----	8

შპს ასორტი-ვერე

მოგება-ზარალის ანგარიშგება

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს (ლარი)

	პენიშვნა	2018	2019
შემოსავალი გაყიდვებიდან		4,908,684	7,188,316
სხვა საოპერაციო შემოსავლები		599,452	121,932
სულ შემოსავალი		5,508,135	7,310,248
მასალები და ნედლეული	1	(2,681,433)	(3,292,132)
ხელფასები		(1,478,755)	(2,218,763)
დაზღვევა		(34,267)	(40,495)
იჯარა		(351,341)	(485,197)
რეკლამა და მარკეტინგი		(42,384)	(118,799)
რემონტები	2	(20,270)	(13,791)
საწვავი		(63,966)	(126,551)
კომუნიკაცია და კომუნალური	3	(229,994)	(286,113)
ქონების და მიწის გადასახადი	4	(20,144)	(26,969)
საბანკო მომსახურება		(35,735)	(49,446)
სხვა საოპერაციო ხარჯები	5	(46,295)	(131,387)
სულ საოპერაციო ხარჯები		(5,004,584)	(6,789,643)
არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი		(49,578)	(66,797)
საპროცენტო ხარჯი	6	(140,932)	(144,583)
ცვეთა და ამორტიზაცია		(117,858)	(199,398)
სულ არასაოპერაციო ხარჯები		(308,368)	(410,778)
წმინდა მოგება		195,183	109,827

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის სახელით 2021 წლის 15 იანვარს დამტკიცებულია გამოსაშვებად შემდეგი პირების მიერ:


დირექტორი

ჭ. ცომაია



ფინანსური დირექტორი

ბ. იოსელიანი



შპს ასორტი-ვერე

ფინანსური მდგომარეობის ანაგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარი)

	შენიშვნა	2018	2019
ძირითადი საშუალებები	7	2,285,438	3,184,458
სულ გრძელვადიანი აქტივები		2,285,438	3,184,458
ფული და ფულის ექვივალენტი		55,613	305,209
მარაგები	8	262,133	629,197
სავაჭრო მოთხოვნები	9	255,636	376,095
სულ მოკლევადიანი აქტივები		573,382	1,310,502
სულ აქტივები		2,858,820	4,494,960
გაუნაწილებელი მოგება		(44,433)	65,394
სულ კაპიტალი		(44,433)	65,394
გრძელვადიანი სესხები	10	2,414,917	3,097,024
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		2,414,917	3,097,024
მოკლევადიანი სესხები		14,113	64,113
სავაჭრო ვალდებულება	11	192,240	936,754
სხვა ვალდებულებები	11	147,478	181,393
საგადასახადო ვალდებულება		134,505	150,282
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		488,336	1,332,542
სულ ვალდებულებები		2,903,253	4,429,566
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		2,858,820	4,494,960

შპს ასორტი-ვერე

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს (ლარი)

	2018	2019
Net Income	195,183	109,827
ცვეთა და ამორტიზაცია	117,858	199,398
ცვლილება მოკლევადიან აქტივებში	(243,745)	(487,524)
ცვლილება მოკლევადიან ვალდებულებებში	(16,528)	794,206
ფულადი საოპერაციო საქმიანობიდან	52,768	615,907
ცვლილება გრძელვადიან აქტივებში	(463,180)	(899,021)
ცვეთა და ამორტიზაცია	(117,858)	(199,398)
ფულადი საინვესტიციო საქმიანობიდან	(581,038)	(1,098,419)
ცვლილება სასესხო ვალდებულებებში	532,598	732,108
ფული ფინანსური საქმიანობიდან	532,598	732,108
ფულის ზრდა/კლება პერიოდში	4,329	249,596
ფული პერიოდის დასაწყისში	51,283	55,613
ფული პერიოდის ბოლოს	55,612	305,209

შპს ასორტი-ვერე

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს “ასორტი-ვერე“ (404880474) წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის ქვეშ მოქმედ კომპანიას, რომლის ძირითადი საქმიანობაა საკონდიტრო და საოჯახო საკვების წარმოება რეალიზაცია. კომპანიის დამფუძნებელი და 100% წილის მფლობელია ნატო ცომაია (62005005539).

2019 წელს კომპანია ბაზარზე ოპერირებს 7 საცალო გაყიდვის ობიექტით და 1 ცენტრალიზებული საწარმოთი.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, მხატვრის ქ. №8.

2. მომზადების და წარდგენის საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოშვებული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ის მიხედვით მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში. ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რომლებმაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როდესაც ეს ცვლილებები გატარდა.

კომპანია სააღრიცხვო ჩანაწერებს აწარმოებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ქართულ ლარში. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის სააღრიცხვო ჩანაწერების საფუძველზე.

3. ფინანსური რისკები - რისკების მართვა

კომპანიის ოპერაციებისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია:

- საკრედიტო რისკი
- საბაზრო რისკი

შპს ასორტი-ვერე

* საპროცენტო რისკი

* უცხოური ვალუტის რისკი

- ლიკვიდურობის რისკი

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ, დავალიანების არდაფარვის შემთხვევაში. კომპანიის საფრთხე საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. კომპანიის საკრედიტო რისკი ძირითადად განპირობებულია სავაჭრო მოთხოვნებიდან.

კომპანია საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ცალკეული კონტრაგენტის კრედიტუნარიანობის საფუძველიან ანალიზს, კონტრაგენტის დიდძალი დავალიანების თავიდან აცილებას, ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის კონტროლს.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულების ცვლილების რისკი, საბაზრო პირობების ცვლილების შედეგად. მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი შემოსავლების ცვლილებაში საპროცენტო განაკვეთების (საპროცენტო რისკი) და ვალუტის კურსის (სავალუტო რისკი) ცვლილების შედეგად.

საპროცენტო რისკი

საპროცენტო რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებაზე ან მომავალ ფულად ნაკადებზე. კომპანიას აქვს ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მატარებელის ფინანსური ინსტრუმენტები.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის უცხოური ვალუტის ცვლილების შედეგად ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვლილების რისკი. სავალუტო რისკის წინაშე შეიძლება იდგეს კომპანიის ფინანსური მდგომარეობა და ფულადი სახსრების მოძრაობა.

შპს ასორტი-ვერე

კომპანიას გააჩნია უცხოურ ვალუტაში გამოხატული როგორც სასესხო ვალდებულებები, ასევე საოპერაციო საქმიანობისთვის საჭირო ხარჯების ნაწილი. კომპანია არ იყენებს სხვადასხვა დერივატივებს სავალუტო რისკის მართვისთვის.

4. ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები:

1. მასალები და ნედლეული

გამოყენებული მასალების ხარჯი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

მასალები და ნედლეული	2018	2019
ნედლეული	(2,456,134)	(2,893,058)
დამხმარე მასალა	(90,908)	(174,405)
სახარჯი მასალა	(134,390)	(224,669)
სულ	(2,681,433)	(3,292,132)

2. რემონტი

შესრულებული სარემონტო სამუშაოები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

რემონტი	2018	2019
დანადგარების რემონტი	(3,436)	(5,447)
ავტომატების რემონტი	(5,942)	(6,301)
სხვა რემონტი	(10,892)	(2,043)
სულ	(20,270)	(13,791)

3. კომუნიკაცია და კომუნალური

საკომუნიკაციო და კომუნალური ხარჯები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

კომუნიკაცია და კომუნალური	2018	2019
კომუნალური	(211,455)	(253,998)
ელენერგია	(119,339)	(148,804)
ბუნებრივი აირი	(33,866)	(41,534)
დასუფთავება	(7,665)	(7,399)
წყალი	(50,584)	(56,261)
კომუნიკაცია	(18,540)	(32,115)
სულ	(229,994)	(286,113)

შპს ასორტი-ვერე

4. გადასახადები

ქონების და მიწის გადასახადები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

<u>ქონების და მიწის გადასახადი</u>	2018	2019
ქონების გადასახადი	(19,818)	(26,642)
მიწის გადასახადი	(327)	(327)
სულ	(20,144)	(26,969)

5. სხვა საოპერაციო ხარჯები

სხვა საოპერაციო ხარჯი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

<u>სხვა საოპერაციო ხარჯები</u>	2018	2019
ობიექტების წმენდა და დასუფთავება	(11,148)	(13,572)
საკონსულტაციო მომსახურება	(6,779)	(20,333)
სადიზაინერო მომსახურება	(8,129)	(549)
საკანცელარიო	(1,410)	(3,526)
სხვა	(18,828)	(93,407)
სულ	(46,295)	(131,387)

6. საპროცენტო ხარჯი

საპროცენტო ხარჯები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

<u>საპროცენტო ხარჯი</u>	2018	2019
სესხის პროენტი	(125,007)	(114,754)
ლიზინგი	(15,106)	(29,829)
სხვა საპროცენტო ხარჯები	(819)	-
სულ	(140,932)	(144,583)

შპს ასორტი-ვერე

7. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ძირითადი საშუალებები	2018	2019
მიწის ნაკვეთები	70,744	70,744
შენობა-ნაგებობები	628,042	660,454
დაუთავრებელი მშენებლობა	463,853	893,092
დაზგა-დანადგარები	640,219	899,489
სატრანსპორტო საშუალებები	336,356	443,519
სხვა გრძელვადიანი აქტივები	146,223	217,161
სულ	2,285,438	3,184,458

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის საწარმო განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე მინიშნება აქტივის გაუფასურების შესახებ. თუ არსებობს ასეთი ნიშანი, საწარმო აფასებს აქტივის ანაზღაურებად ღირებულებას და ადარებს მის საბალანსო ღირებულებას. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, საწარმო ამცირებს საბალანსო ღირებულებას ანაზღაურებად ღირებულებამდე. ასეთ შემთხვევაში, ღირებულების შემცირების ოდენობა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს, რაც აღიარდება მოგებაში-ზარალში.

8. მარაგები

მარაგები	2018	2019
ნედლეული და მასალები	214,147	391,275
მზა პროდუქცია	13,511	125,482
დაუთავრებელი წარმოება	9,499	35,095
სხვა სასაქონლო მატერიალური მარაგი	24,977	77,346
სულ	262,133	629,197

9. სავაჭრო მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

სავაჭრო მოთხოვნები	2018	2019
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	213,988	306,496
სხვა მოთხოვნები	41,647	69,600
სულ	255,636	376,095

შპს ასორტი-ვერე

კომპანია მუდმივ რეჟიმში ახორციელებს სავაჭრო მოთხოვნების მუდმივ მონიტორინგს და ცდილობს არ გაზარდოს სავაჭრო მოთხოვნის ბრუნვა. 2018 წლის სავაჭრო მოთხოვნის ბრუნვა იყო 29.2, ხოლო 2019 წელს 23.1.

10. გრძელვადიანი სესხები

გრძელვადიანი სესხები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

გრძელვადიანი სესხები	2018	2019
საქართველოს ბანკი ლარი	692,000	930,000
საქართველოს ბანკი ლარი	-	470,000
საქართველოს ბანკი დოლარი	1,297,460	1,169,382
საქართველოს ბანკი ლარი	190,296	53,908
საქართველოს ბანკი ევრო	-	385,140
ლიზინგი	235,161	88,594
სულ	2,414,917	3,097,024

კომპანია 2020 წლიდან გეგმავს არსებული სასესხო სტრუქტურის ცვლილებას. კომპანია არ ახდეს სავალუტო კურსის ჰეჯირებას, ამიტომ რესტრუქტურიზაციით თითქმის სრულად შემცირდება სავალუტო რისკები.

11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ვალდებულებები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2018	2019
მიწოდება და მომსახურება	192,240	936,754
<i>იურიდიული პირი</i>	122,735	862,760
<i>ფიზიკური პირი</i>	69,505	73,994
გადასახდელი ხელფასები	147,478	181,393
სულ	339,718	1,118,146

მოცემული ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები შეესაბამება რეალურ ღირებულებას. ასევე კომპანიას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ გააჩნია მნიშვნელოვანი სასამართლო დავები.